

**სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს ბაზრის მონიტორინგისა და ანალიზის დეპარტამენტის დებულება**

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1. სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში - „სააგენტო“) ბაზრის მონიტორინგისა და ანალიზის დეპარტამენტის (შემდგომში - „დეპარტამენტი“) დებულება (შემდგომში - „დებულება“) განსაზღვრავს დეპარტამენტის სამართლებრივ სტატუსს, სტრუქტურას, უფლებამოსილებას, ანგარიშვალდებულებას და აწესრიგებს მის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.
2. დეპარტამენტი არის სააგენტოს ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფი.
3. დეპარტამენტი თავისი ამოცანებისა და ფუნქციების განხორციელებისას წარმოადგენს სააგენტოს.
4. დეპარტამენტის თანამშრომლებს (შემდგომში „თანამშრომელი“) კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სააგენტოს თავმჯდომარე.
5. დეპარტამენტის საქმიანობის საერთო ზედამხედველობას კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს სააგენტოს თავმჯდომარე ან/და მის მიერ განსაზღვრული ერთ-ერთი მოადგილე (შემდგომში - კურატორი მოადგილე).

**მუხლი 2. დეპარტამენტის საქმიანობის სამართლებრივი საფუძველი**

დეპარტამენტის საქმიანობის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუცია, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი, სააგენტოს დებულება, ეს დებულება, სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებები და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

**მუხლი 3. დეპარტამენტის სტრუქტურა**

დეპარტამენტი შედგება შემდეგი სტრუქტურული ერთეულებისაგან:

- ა) ბაზრის მონიტორინგისა და ანალიზის სამმართველო;
- ბ) კონცენტრაციისა და სახელმწიფო დახმარების სამმართველო.

**მუხლი 4. დეპარტამენტის და მისი სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები**

დეპარტამენტის ფუნქციები გადანაწილებულია მის ორ სტრუქტურულ ერთეულს შორის.

**1. ბაზრის ანალიზისა და მონიტორინგის სამმართველოს ფუნქციებია:**

ა) სასაქონლო/მომსახურების ბაზრების ანალიზი, დარგობრივი და თემატური კვლევები და აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებული ანგარიშების მომზადება;

ბ) ანალიტიკურ მონაცემთა ბაზების შექმნა და განახლება;

გ) კომპეტენციის ფარგლებში, შესაბამისი ბაზრის მოკვლევის პროცესში მონაწილეობა; მოკვლევის მსვლელობისას დასმული საკითხების განხილვა და შესაბამისი ღონისძიების განხორციელებისათვის წინადადებების მომზადება;

დ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრებზე კონკურენტული გარემოს შეფასების მიზნით შესაბამისი ბაზრის მონიტორინგი - შესაბამისი სასაქონლო/მომსახურების ბაზრის ანალიზი/შეფასება, ბაზრის სტრუქტურის, საბაზრო კონცენტრაციის, ჰერფინდალ ჰირშმანის (HHI) ინდექსის გამოთვლა; საბაზრო ძალაუფლების, ბაზრის ბარიერების დადგენა ან/და კანონით გათვალისწინებული სხვა მდგომარეობის განსაზღვრა, შეფასების ცალკეული ნიშნის/ნიშნების მიხედვით; მონიტორინგის ანგარიშის პროექტების მომზადება და სააგენტოს თავმჯდომარისათვის წარდგენა;

ე) „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის სავარაუდო დარღვევის ფაქტზე დაწყებულ მოკვლევაში მონაწილეობა;

ვ) მონიტორინგს დაქვემდებარებული ბაზრების შერჩევა და კონკრეტულ ბაზარზე მონიტორინგის დაწყების თაობაზე სააგენტოს თავმჯდომარის წინაშე საკითხის დასმა;

ზ) ეკონომიკური აგენტისთვის/მხარისთვის/დაინტერესებული მხარისთვის მოთხოვნილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის მიუღებლობის შემთხვევაში, სასამართლოსათვის, ეკონომიკური აგენტისგან/მხარისგან/დაინტერესებული მხარისგან ინფორმაციის/დოკუმენტაციის გამოთხოვის შესახებ შუამდგომლობით მიმართვის თაობაზე, საკითხის დასმა;

თ) მოთხოვნილი ინფორმაციის განსაზღვრულ ვადაში მიუწოდებლობის შემთხვევაში, სააგენტოს თავმჯდომარის წინაშე, ეკონომიკურ აგენტის/მხარის/დაინტერესებული მხარისათვის ჯარიმის დაკისრების თაობაზე, საკითხის დასმა;

ი) სააგენტოს შესაბამისი დეპარტამენტების მომართვის შემთხვევაში, სხვადასხვა ანალიტიკურ და ელექტრონულ მონაცემთა ბაზებში არსებული ინფორმაციის დამუშავება და მიწოდება;

კ) კომპეტენციის ფარგლებში, სააგენტოში შემოსული წერილების, განცხადებების, საჩივრებისა და სხვა კორესპონდენციის განხილვა; მათზე შესაბამისი რეაგირება და საპასუხო კორესპონდენციის მომზადება;

ლ) სააგენტოს თავმჯდომარის გადაწყვეტილების საფუძველზე, სააგენტოს წარმომადგენლობა შესაბამის ღონისძიებაზე;

მ) შესაბამის ბაზარზე კონკურენციის დაცვისა და ხელშეწყობის მიზნით სააგენტოში წარმოდგენილი, სააგენტოს მიერ მიღებული ან მისაღები საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე აქტების შემუშავებასა და განხილვაში, კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობის მიღება და წინადადებებისა და მოსაზრებების წარმოდგენა;

ნ) კომპეტენციის ფარგლებში, სააგენტოს წლიური ანგარიშის მომზადების და გამოქვეყნების პროცესში მონაწილეობა;

ო) კომპეტენციის ფარგლებში, სააგენტოს საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის მომზადება და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერისთვის მიწოდება;

პ) კომპეტენციის ფარგლებში, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით დაგეგმილ აქტივობებში მონაწილეობა;

ჟ) „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით და სააგენტოს დებულებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება;

რ) სააგენტოს თავჯდომარის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება;

ს) სააგენტოს თავჯდომარის სხვა დავალებების შესრულება.

## **2. კონცენტრაციისა და სახელმწიფო დახმარების სამმართველოს ფუნქციები:**

ა) სახელმწიფო დახმარების პროექტების შეთანხმება; სახელმწიფო დახმარებების პროგრამებისა და სქემების კონკურენციის პრინციპებთან შესაბამისობის დადგენა და შესაბამისი სამართლებრივი დასკვნის პროექტის მომზადება; სახელმწიფო დახმარებების კონკურენტული ეფექტის შეფასება;

ბ) სახელმწიფო დახმარების გამცემი ორგანოს მიერ სახელმწიფო დახმარების სააგენტოსთან შეთანხმების წესის დარღვევის შემთხვევაში, უფლებამოსილი პირის პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე, შესაბამისი ორგანოსათვის მიმართვის საკითხის დასმა;

გ) სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების, მუნიციპალიტეტის ორგანოს ან/და სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსათვის განსახილველად სავალდებულო რეკომენდაციების მომზადება;

დ) გაცემული უმნიშვნელო ოდენობის ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების რეესტრის წარმოება;

ე) განსახორციელებელი კონცენტრაციის კონკურენტული ეფექტის თაობაზე გადაწყვეტილების პროექტის მომზადება;

ვ) კონცენტრაციის მონაწილე ეკონომიკური აგენტის მიერ შეთავაზებული სტრუქტურული ან/და ქცევითი ხასიათის ღონისძიების განხილვა და პოზიციის შემუშავება;

ზ) სტრუქტურული ან/და ქცევითი ხასიათის ღონისძიების დადგენილ ვადაში განუხორციელებლობის შემთხვევაში, ეკონომიკური აგენტის დაჯარიმების, ასევე თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის მიზნით კონცენტრაციის გაუქმების შესახებ სასამართლოსთვის შუამდგომლობით მიმართვის თაობაზე საკითხის დასმა;

თ) ანალიტიკურ მონაცემთა ბაზების შექმნა და განახლება;

ი) „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის სავარაუდო დარღვევის ფაქტზე დაწყებულ მოკვლევაში მონაწილეობა;

კ) გამოთხოვილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის მიუღებლობის შემთხვევაში, ეკონომიკური აგენტისგან/მხარისგან/დაინტერესებული მხარისგან ინფორმაციის/დოკუმენტაციის გამოთხოვის შესახებ შუამდგომლობით მიმართვის თაობაზე, საკითხის დასმა;

ლ) მოთხოვნილი ინფორმაციის განსაზღვრულ ვადაში მიუწოდებლობის შემთხვევაში, სააგენტოს თავმჯდომარის წინაშე, ეკონომიკურ აგენტის/მხარის/დაინტერესებული მხარისათვის ჯარიმის დაკისრების თაობაზე, საკითხის დასმა;

მ) კომპეტენციის ფარგლებში, სააგენტოში შემოსული წერილების, განცხადებების, საჩივრებისა და სხვა კორესპონდენციის განხილვა; მათზე შესაბამისი რეაგირება და საპასუხო კორესპონდენციის მომზადება;

ნ) სასაქონლო ბაზარზე კონკურენციის დაცვისა და ხელშეწყობის მიზნით სააგენტოში წარმოდგენილი, სააგენტოს მიერ მიღებული ან მისაღები საკანონმდებლო, ან კანონქვემდებარე აქტების შემუშავებასა და განხილვაში, კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობის მიღება და წინადადებებისა და მოსაზრებების წარმოდგენა;

ო) კომპეტენციის ფარგლებში, კონკურენციის კანონმდებლობის პრობლემური საკითხების გადაწყვეტის მიზნით წინადადებების მომზადება;

პ) კომპეტენციის ფარგლებში, სააგენტოს საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების, მათ შორის, ინსტრუქციების, პროცედურული სახელმძღვანელოების, მეთოდური მითითებების, სიტუაციური სახელმძღვანელოების პროექტების მომზადებაში მონაწილეობა;

ჟ) კომპეტენციის ფარგლებში, სააგენტოს წლიური ანგარიშის მომზადების და გამოქვეყნების პროცესში მონაწილეობა;

რ) სააგენტოს თავმჯდომარის გადაწყვეტილების საფუძველზე, სააგენტოს წარმომადგენლობა შესაბამის ღონისძიებაზე;

ს) კომპეტენციის ფარგლებში, სააგენტოს საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის მომზადება და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერისათვის მიწოდება;

ტ) კომპეტენციის ფარგლებში, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით დაგეგმილ აქტივობებში მონაწილეობა;

უ) „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით და სააგენტოს დებულებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება;

ფ) სააგენტოს თავმჯდომარის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება;

ქ) სააგენტოს თავმჯდომარის სხვა დავალებების შესრულება.

## **მუხლი 5. დეპარტამენტის ხელმძღვანელობა**

1. დეპარტამენტს ხელმძღვანელობს დეპარტამენტის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სააგენტოს თავმჯდომარე. დეპარტამენტის უფროსი ანგარიშვალდებულია თავმჯდომარისა და კურატორი მოადგილის წინაშე.

2. დეპარტამენტის უფროსს ჰყავს მოადგილე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სააგენტოს თავმჯდომარე. მოადგილე ანგარიშვალდებულია სააგენტოს თავმჯდომარის, კურატორი მოადგილისა და დეპარტამენტის უფროსის წინაშე.

3. დეპარტამენტის უფროსი, თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) ახორციელებს დეპარტამენტის საქმიანობის მართვას, კოორდინაციასა და ზედამხედველობას;

ბ) იღებს გადაწყვეტილებებს და მოქმედებს დეპარტამენტის სახელით;

გ) უზრუნველყოფს საქართველოს კანონმდებლობის, სააგენტოს თავმჯდომარის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების და სხვა სამართლებრივი აქტების შესრულებას;

დ) წარმოადგენს დეპარტამენტს მინიჭებული უფლება-მოვალეობების განხორციელებისას და პასუხისმგებელია დეპარტამენტზე დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე;

ე) ანაწილებს მოვალეობებს თანამშრომლებს შორის, აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს;

ვ) აკონტროლებს თანამშრომელთა მიერ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების ჯეროვან შესრულებას;

ზ) აკონტროლებს თანამშრომლების მიერ სააგენტოს შინაგანაწესის დაცვას;

თ) ვიზას ადებს და ხელს აწერს დეპარტამენტში მომზადებულ დოკუმენტებს;

ი) მოთხოვნის შემთხვევაში, სააგენტოს თავმჯდომარეს წარუდგენს ანგარიშს დეპარტამენტის მიერ გაწეული საქმიანობის თაობაზე;

კ) სააგენტოს თავმჯდომარეს წარუდგენს წინადადებებს თანამშრომელთა წახალისების ან მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ, თანამშრომლების დაწინაურების ან სხვა სტრუქტურულ ქვედანაყოფში გადაყვანის თაობაზე;

ლ) შუამდგომლობს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების შესახებ;

მ) ასრულებს სააგენტოს თავმჯდომარის სხვა დავალებებს;

ნ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

4. დეპარტამენტის უფროსის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს მოადგილე.

5. დეპარტამენტის უფროსის და მოადგილის არყოფნის შემთხვევაში, დეპარტამენტის უფროსის მოვალეობას ასრულებს ბაზრის მონიტორინგისა და ანალიზის სამმართველოს უფროსი, ხოლო, მისი არყოფნის შემთხვევაში, კონცენტრაციისა და სახელმწიფო დახმარებების სამმართველოს უფროსი.